ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილების
N1 დანართი

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
N07-01/48, 28.09.2023; N07-01/51, 09.09.2024.
N07-01/55, 27.09.2024; N07-01/24, 21.08.2025; N07-01/34, 14.11.2025;
*N07-01/37, 05.12.2025; N07-01/20, **24.03.2026**)*

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - „უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) აკადემიური პერსონალის აფილირების პირობებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის რეგულაციას.
2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართება ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პერსონალის (პროფესორი; ასოცირებული პროფესორი; ასისტენტ-პროფესორი; ასისტენტი) და საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის მოთხოვნათა დაცვით მოწვეული პერსონალის მიერ (მოწვეული მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი/სპეციალისტი).
3. **აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია:**

ა) შეასრულოს შრომის ხელშეკრულების პირობები, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულებასთან (აკადემიურ საქმიანობასთან) დაკავშირებით, ბსუ-სთან აფილირების და აკადემიური (შრომითი) დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ, ასევე შეთავსებით სამუშაოს (სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის) განხორციელებაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, ბსუ-ს შინაგანაწესის, წინამდებარე წესის ან/და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები; *(ცვლილება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ბ) შეასრულოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სავალდებულო სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა, წინამდებარე წესით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

გ) გაუწიოს სტუდენტებს კონსულტაცია ცალკეული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის შესრულების პროცესში, ასევე, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ;

დ) აფილირების გათვალისწინებით შეასრულოს ამ წესით განსაზღვრული სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ე) შეასრულოს წინამდებარე წესით დაშვებული და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი, საათობრივად ანაზღაურებადი სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. სასწავლო წლის დაწყებამდე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური (შრომითი) დატვირთვის კატეგორია, აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე (მათ შორის შეთავსებით სამუშაოს შესრულებაზე რექტორის თანხმობის მიღების განაცხადზე ბსუ-ს რექტორის თანხმობის გათვალისწინებით). *(დამატება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*
5. საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესისა და ამ წესის მოთხოვნების გათვალისწინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მტკიცდება (განისაზღვრება) აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის კატეგორიის/აფილირების (ან ცვლილების)

განსაზღვრისათვის დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმები, შეთავსებით სამუშაოზე/ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელებაზე წერილობითი თანხმობის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა, ამ განაცხადების წარმოდგენის ვადები და პირობები ან/და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებები. *(დამატება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე))*

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის აფილირების პირობები

1. აკადემიური თანამდებობის პირის ბსუ-სთან აფილირება განისაზღვრება დასაქმებულის განაცხადის საფუძველზე, უნივერსიტეტის და დასაქმებულის წერილობითი შეთანხმებით, რომელიც ფორმდება შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე და ძალაშია შრომითი ურთიერთობის ვადით.
2. ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
3. აკადემიური თანამდებობის პირის ბსუ-სთან **აფილირების პირობებია:**

ა) დასაქმებულია <u>**აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ ბსუ-ში,** არ უკავია სხვა დაწესებულების სამეცნიერო თანამდებობა,</u> ბსუ-ში ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და თავის სამეცნიერო კვლევის შედეგებს უკავშირებს (ეთვლება) მხოლოდ ბსუ-ს;

ბ) ბსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

გ) აქტიურად არის ჩართული ბსუ-ს საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტების აკადემიური კონსულტირების და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

4. ბსუ-სთან აფილირებული შეიძლება იყოს პირი, რომელთანაც გაფორმდება აფილირების წერილობითი შეთანხმება და აისახება ხარისხის მართვის სისტემაში (შემდეგში - QMS-ს ბაზა).
5. ბსუ-სთან არაფილირებულია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი, რომელსაც ბსუ-სთან არა აქვს გაფორმებული აფილირების ხელშეკრულება ან შეუწყდა, წინამდებარე წესის შესაბამისად.
6. ბსუ-ს პროფესორისათვის <u>(გარდა</u> ამ მუხლით გათვალისწინებული პირებისა) სავალდებულოა ბსუ-სთან აფილირება. ბსუ-ს პროფესორის მიერ აფილირების პირობების დარღვევა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია. *(ცვლილება - N07-01/34, 14.11.2025)*

6[1]. ბსუ-ს მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი ბსუ-ს პროფესორისათვის, რომელიც ბსუ-ს <u>კლინიკურ ბაზებზე/პრაქტიკის ობიექტებზე ეწევა საექიმო საქმიანობას</u> და ასრულებს აკადემიურ (სამუშაო) დატვირთვას/უძღვება სასწავლო/კლინიკურ კომპონენტებს ბსუ-ს სტუდენტებისათვის, დასაშვებია: *(დამატება - N07-01/34, 14.11.2025)*

ა) არ იყოს ბსუ-ს აფილირებული პროფესორი (ეკავოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა და იყოს აფილირებული);

ბ) ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების არსებობის მიუხედავად ეკავოს/დაიკავოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა (არააფილირებული სტატუსით).

7. **ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირისათვის დასაშვებია:**

ა) <u>ბსუ-ში ასრულებდეს</u> წლიური სავალდებულო დატვირთვის ნახევარს და ამავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში, შეთავსებითი სამუშაოს შესრულებაზე ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით ბსუ-ს რექტორისაგან (დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე) მიღებული თანხმობით (თუ ამით ხელი არ შეეშლება ამ პირის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოდან გამომდინარე მოვალეობის შესრულებას);

ბ) ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით **ბსუ-ს რექტორისაგან** (დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე) მიღებული თანხმობით **სხვა უმაღლეს** საგანმანათლებლო დაწესებულებაში **აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების გარეშე,** შეთავსებით

განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, **არაუმეტეს კვირაში 6/სემესტრში 90 საათისა,** თუკი ბსუ-ში ექნება სრული სამუშაო დატვირთვა;
გ) ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით ბსუ-ს რექტორისაგან (დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე) მიღებული თანხმობით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების გარეშე, შეთავსებით განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, არაუმეტეს **კვირაში 12/სემესტრში 180 საათისა,** თუკი ბსუ-ში ექნება ნახევარი სამუშაო დატვირთვა.
8. მოქმედი აფილირების შეთანხმების გაუქმება ან არააფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის მიერ ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების გაფორმება, დასაშვებია მხოლოდ ბსუ-ს რექტორის თანხმობით, **სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღით ადრე** წარმოდგენილი ახალი განაცხადის საფუძველზე.
9. მოქმედი აფილირების შეთანხმების პერიოდში დასაქმებულის მიერ სხვა დაწესებულებასთან აფილირების შეთანხმების გაფორმების **ან წინამდებარე წესით დადგენილი ზღვრულ ოდენობაზე მეტი საათობრივი სამუშაო დატვირთვის** შესრულების შემთხვევაში (რომლის შესახებ დასაქმებულს არ უთხოვია ბსუ-ს თანხმობა), **განიხილება აფილირების პირობებისა და შრომითი ხელშეკრულების უხეშ დარღვევად** და დასაქმებულის მიმართ განხორციელდება ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული საქმისწარმოება.

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა

1. აკადემიური თანამდებობის პირის სავალდებულო სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის განმსაზღვრელია მისი ბსუ-სთან **აფილირება და** დასაქმებულის მიერ ბსუ-ში **ან/და სხვა დაწესებულებაში** დაკავებული თანამდებობა/შესასრულებელი სამუშაო დატვირთვა, **რომელზეც მიიღო თანხმობა წინამდებარე წესისა და შინაგანაწესის მოთხოვნათა დაცვით.**
2. აკადემიური პერსონალის სავალდებულო წლიური სამუშაო დატვირთვა (მათ შორის ელექტრონული (დისტანციური) სწავლების ფორმატის შემთხვევაში) მოიცავს ლექციას/ჯგუფში მუშაობას (სემინარი)/ლაბორატორიულ/კურაციულ სამუშაო დატვირთვას (შემდეგში - ,,სააუდიტორიო დატვირთვა“ ან ,,საკონტაქტო საათი“) და წინამდებარე წესით განსაზღვრულ სხვა, არასააუდიტორიო სამუშაო დატვირთვას.
3. **სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტი შეიძლება** იყოს სამუშაო დატვირთვა (სალექციო/ჯგუფში მუშაობა (სემინარი)/ლაბორატორიული/კურაციული/პრაქტიკა):
ა) საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე;
ბ) სამაგისტრო პროგრამებზე, თუკი სტუდენტთა ჯგუფში მათი რაოდენობა არის 10 ან მეტი;
გ) სამაგისტრო ან/და სადოქტორო პროგრამებზე, თუკი სტუდენტთა ჯგუფში მათი რაოდენობა არის 10-ზე ნაკლები (შემდეგში - ,,მცირერიცხოვანი ჯგუფი“). ამ შემთხვევაში ეს სამუშაო წლიურ სავალდებულო პედაგოგიურ დატვირთვაში 60 სთ-ს არ უნდა აღემატებოდეს, გარდა აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი გამონაკლისისა (რაც გამოწვეული იქნება პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, როცა შეუძლებელია სხვა პერსონალის მოწვევა);
დ) საველე/სასწავლო/საწარმოო/პროფესიული/სასკოლო (პედაგოგიური) **პრაქტიკა** (შემდგომში **პრაქტიკა)** – **აფილირებული A1 კატეგორიის** აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის წინამდებარე წესით დადგენილი **წლიური** სამუშაო დატვირთვის ზღვრულ ოდენობამდე შევსებისათვის, **არაუმეტეს 60 საათის** ოდენობით **(შენიშვნა:** სავალდებულო წლიურ დატვირთვასთან ერთად დამატებითი საათობრივი სამუშაო დატვირთვის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკის საათების ჯამური რაოდენობა (სავალდებულო და საათობრივი) არ უნდა აღემატებოდეს 100 საათს). *(ცვლილება - N07-01/55; 27.09.2024; N07-01/24, 21.08.2025)*
4. ბსუ-ში **საათობრივი ანაზღაურების წესით** შესრულებადი აკადემიური დატვირთვის შემადგენელი **კომპონენტი შეიძლება იყოს:**
ა) სალექციო, ჯგუფში მუშაობა (სემინარი), კურაცია, ლაბორატორიული სამუშაო - სწავლების სამივე საფეხურზე;

ბ) საველე/სასწავლო/პროფესიული/ სასკოლო (პედაგოგიური) პრაქტიკა – საათების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად;
გ) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – ერთი ნაშრომი-10 საათი;
დ) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (სწავლების მეორე წლიდან) - ერთი ნაშრომი - 20 საათი;
ე) დოქტორანტის სემინარი დარგში/სემინარი ქვედარგში -10 კრედიტის შემთხვევაში, 1 სტუდენტზე - 10 საათი, 5 კრედიტის შემთხვევაში, 1 სტუდენტზე - 5 საათი; „პროფესორის ასისტენტობა“ -10 კრედიტის შემთხვევაში, 1 სტუდენტზე - 10 საათი, 5 კრედიტის შემთხვევაში, 1 სტუდენტზე - 5 საათი; *(ცვლილება -N07-01/24, 21.08.2025)*
ვ) **დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა (თანახელმძღვანელობა)** - სწავლების **6** (ექვსი) **სემესტრის** განმავლობაში **- 100 საათი** (მათ შორის პირველ სასწავლო წელს - **20 საათი** (ანაზღაურება გაიცემა მე-2 სემესტრის ბოლოს); მე-2 და მე-3 სასწავლო წელს, ყოველ სემესტრში - **20 საათი** (ანაზღაურება გაიცემა თითოეული სემესტრის ბოლოს). ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით **დოქტორანტის სწავლის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში** (დამატებითი არაუმეტეს **4 სემესტრი),** დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის/სამეცნიერო თანახელმძღვანელობის საათობრივი დატვირთვა შეადგენს **სემესტრში 20 საათს.** დამატებითი 2 სემესტრის შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის საათები ანაზღაურებადია და გაიცემა თითოეული სემესტრის ბოლოს, ხოლო **მომდევნო დამატებითი სემესტრების** შემთხვევაში - **არაანაზღაურებადია** **იმავე** სამეცნიერო ხელმძღვანელისათვის/თანახელმძღვანელისათვის. დოქტორანტის სწავლების დამატებით სემესტრში მოწვეული სხვა სამეცნიერო ხელმძღვანელის შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის საათები ანაზღაურებადია (შენიშვნა: სამეცნიერო ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში სემესტრული საათობრივი დატვირთვა ნაწილდება პროპორციულად).(ცვლილება *-N07-01/24, 21.08.2025)*

5. აკადემიური პერსონალის აკადემიური საქმიანობა, გარდა წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრული სააუდიტორიო დატვირთვისა და საათობრივად ანაზღაურებადი არასააუდიტორიო სამუშაო დატვირთვისა, მოიცავს სხვა აქტივობებს/**არასააუდიტორიო** შრომით დატვირთვას, **მათ შორის:**
ა) მზადება ლექციისთვის;
ბ)მზადება პრაქტიკული/ ლაბორატორიული მეცადინეობისათვის /ჯგუფში მუშაობისათვის /კურაციისათვის;
გ) სტუდენტთა აკადემიური კონსულტაცია (სავალდებულო შესასრულებელი) - „ა1“ და „ა2“ კატეგორიის სამუშაო დატვირთვის მქონე პერსონალის მიერ - სასწავლო კვირაში არანაკლებ 4 საათი, ხოლო „ბ1“, „ბ2“, „ბ3“ და „გ“ კატეგორიის სამუშაო დატვირთვის მქონე პერსონალის მიერ – სასწავლო კვირაში არანაკლებ 2 სთ;
დ) კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტთა სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის წარმოება, ასევე ელექტრონული სწავლების განხორციელების წესისა და რეკომენდაციების თანახმად შესაბამისი სასწავლო პლატფორმის გამოყენება;
ე) სტუდენტის ცოდნის შეფასება (მიმდინარე, შუალედური, საბოლოო/დასკვნითი);
ვ) ტესტის შედგენა ან საგამოცდო საკითხებისა და კითხვების მომზადება;
ზ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა;
თ) სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
ი) სასწავლო ლიტერატურის (სახელმძღვანელოს) ან სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა;
კ) სამეცნიერო სემინარზე მოხსენების გაკეთება;
ლ) სამეცნიერო სტატიის მომზადება;
მ) საკონფერენციო თემის მომზადება;
ნ) დარგობრივ დეპარტამენტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორობა;
ო) საჯარო ან ღია ლექციის მომზადება;
პ) წარმომადგენლობითი საბჭოს/აკადემიური საბჭოს წევრობა;
ჟ) სასწავლო კომპონენტის სილაბუსის შედგენა/სრულყოფა;
რ) საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება;
ს) საგამოცდო პროცესში მონაწილეობა;

ტ) სასწავლო და სამეცნიერო პროცესთან დაკავშირებული სხვა აქტივობა.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის კატეგორიები

1. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს ბსუ-სთან აფილირების გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს **„ა1“, „ა2“, „ბ1“, „ბ2“, „ბ3“ ან „გ“ კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) დატვირთვა.

2. **„ა1“ კატეგორიის დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან **აფილირებულ** აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც დასაქმებულია **მხოლოდ ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში** (ფსიქოლოგიური კლინიკა, სამედიცინო, სასამართლო ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში), სადაც ხორციელდება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კლინიკური კომპონენტი/პრაქტიკა. *(ცვლილება - N07-01/48; 28.09.2023)*

3. **„ა2“ კატეგორიის დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან **აფილირებულ** აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც სხვა **დაწესებულებაშიც** ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში არაუმეტეს **6** აკადემიური საათი**/სემესტრში** მაქსიმუმ **90 აკადემიური საათი), აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე,** თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას. *(ცვლილება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

4. **აკადემიური პერსონალის „ა1“ და „ა2“ კატეგორიის შრომითი დატვირთვა** შეადგენს:

ა) პროფესორს - 280 საათი;

ბ) ასოცირებულ პროფესორს - 330 საათი;

გ) ასისტენტ-პროფესორს - 350 საათი;

დ) ასისტენტს - 370 საათი;

ე) დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელობა - 30 საათი (შედის ამ პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სამუშაო დატვირთვაში).

(ცვლილება -N07-01/24, 21.08.2025)

5. **„ბ1“ კატეგორიის** სამუშაო **(აკადემიური) დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად უჭირავს ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა.

6. **„ბ2“ კატეგორიის** სამუშაო **(აკადემიური) დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც სხვა **დაწესებულებაშიც** ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში არაუმეტეს 12 აკადემიური საათი/სემესტრში მაქსიმუმ 180 აკადემიური **საათი),** აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას. *(ცვლილება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

7. **„ბ3“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად უჭირავს **სხვა დაწესებულების ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა,** თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას.

8. **„ბ1“, „ბ2“ და „ბ3“ კატეგორიის სავალდებულო სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა** შეადგენს **„ა1“, „ა2“ კატეგორიის** სავალდებულო შრომითი დატვირთვის **50%-ს.**

9. **„გ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან **არააფილ**ირებულ აკადემიური თანამდებობის პირს, კერძოდ:

ა) პროფესორს - 140 საათი;

ბ) ასოცირებულ პროფესორს - 165 საათი;

გ) ასისტენტ-პროფესორს - 175 საათი;

დ) ასისტენტს - 185 საათი;

(ცვლილება -N07-01/24, 21.08.2025)

10. ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანებით შესაძლებელია ამ წესით განსაზღვრული სავალდებულო შრომითი დატვირთვა შეუმცირდეს ბსუ-ს აფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს:

ა) დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის ამ წესით განსაზღვრული შემცირებული წლიური სამუშაო დატვირთვის შესაბამისად **(30** საათა**მდე)** - თუკი დასაქმებული

ხელმძღვანელობს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დაფუძნებულ საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს (კათედრას/ცენტრს) და ასრულებს საათობრივ საუდიტორიო დატვირთვას;
ბ) **50** საათით - თუკი დასაქმებული არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრად/აკადემიკოსად (საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწე, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს მეცნიერების ან/და კულტურის განვითარებაში).
11. აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური დატვირთვის კატეგორია განისაზღვრება **დასაქმებულთან დადებული აფილირების შეთანხმების გათვალისწინებით, ყოველწლიურად,** ბსუ-ს პორტალის შესაბამის მოდულში (სამუშაო დატვირთვის ელექტრონულ სისტემაში) დასაქმებულის მიერ და უნივერსიტეტის თანხმობით აღნიშნული შრომითი დატვირთვის კატეგორიის შესაბამისად.
12. წინამდებარე წესისა და ბსუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით **დასაშვებია აკადემიური დატვირთვის კატეგორიის შეცვლა,** რაც აისახება ყოველწლიურად (სემესტრულად) მომზადებული აკადემიური პერსონალის შრომის (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში. **ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს მიმდინარე სემესტრში, თუკი ზიანი არ ადგება სასწავლო პროცესს და სხვა დასაქმებულის უფლებებს** და არ ირღვევა წინამდებარე წესის მოთხოვნები.
13. თუკი აკადემიური თანამდებობის პირის **აფილირების ცვლილება** განხორციელდა სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, **აკადემიური დატვირთვის კატეგორიის ცვლილება განხორციელდება მომდევნო სემესტრიდან** (გამონაკლისი შესაძლებელია განხორციელდეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე).
14. აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური დატვირთვის კატეგორიის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი სასწავლო წლის/სემესტრის სავალდებულო აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა განისაზღვრება შემდეგი პერიოდის სასწავლო კვირებზე პროპორციულად გადანაწილებული სამუშაო საათების მიხედვით.

მუხლი 5. პროგრამებზე შესასრულებელი საათების (სამუშაო დატვირთვის) განაწილება
1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე შესასრულებელი საათები, როგორც აკადემიური (სავალდებულო) სამუშაო დატვირთვა და საათობრივად ანაზღაურებადი სამუშაო, უპირველესად განესაზღვრება ბსუ-ს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს და შემდეგ არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს, მათი კვალიფიკაციის/ აკადემიური ხარისხისა და საკონკურსო განცხადებაში/ანკეტაში მითითებული სასწავლო კურსების მიხედვით.
2. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შემდეგ დარჩენილი საათების შესრულების მიზნით, შეიძლება მოწვეული იქნეს:
ა) ბსუ-ში შესაბამისი მიმართულებით 3 წლის სამუშაო გამოცდილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის/კომპეტენციის მქონე პირები: მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი) ან სპეციალისტი (შესაბამისი დარგის, 5 წელზე მეტი პრაქტიკული გამოცდილების კვალიფიციური პირი);
ბ) საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, კონკურსის გარეშე, საქართველოსა ან/და უცხოეთში აღიარებული სპეციალისტი;
გ) ბსუ-ს ემერიტუსები, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კონკურსის გარეშე, მხოლოდ უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე, ბსუ-ს წესდების შესაბამისად (ანაზღაურების გარეშე).
3. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები შესაძლებელია შრომის კანონმდებლობის დაცვით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, საათობრივი ანაზღაურების წესით, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასრულებდნენ სამუშაოს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად).
4. საათობრივი სამუშაოს შესასრულებლად პერსონალის მოწვევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, შესაბამისი მიმართულებით მუშაობის/კვალიფიკაციის გათვალისწინებითა და საჭიროების შემთხვევაში ღია ლექციის (შესაბამისი საუდიტორიო მეცადინეობის) ჩატარებისა და

შეფასების საფუძველზე. კონკურსის ჩატარების ვადები, საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე. დეკანის წარდგინებაში მიეთითება შესასრულებელი საათობრივი სამუშაოს შესახებ ინფორმაცია (ვაკანტური სასწავლო კურსების დასახელება, ჩასატარებელი საათების რაოდენობა და ჩატარების დრო - სემესტრი).

5. ამ წესის შესაბამისად ჩატარებული ღია კონკურსის შედეგების შესახებ ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი (თანდართული საკონკურსო კომისიის ოქმები, საკონკურსო განცხადებები და კონკურსანტის დოკუმენტაცია) წარედგინება ბსუ-ს რექტორს, ხოლო რექტორის რეზოლუციის შესაბამისად გადაეცემა:

ა) ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს - შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად;

ბ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს შესაბამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისათვის;

გ) შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტს - კონკურსში გამარჯვებული, მოსაწვევი პერსონალის შრომითი დატვირთვის პროექტის მოსამზადებლად. აღნიშნული პროექტის და შემდეგში საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების მომზადება ხდება წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესით.

6. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დამატებითი შესასრულებელი საათების შემთხვევაში (სასწავლო კურსებზე საუდიტორიო ჯგუფების შექმნა/გაყოფა და ე.წ. „კურსის გავლა“ /დავალიანებული კრედიტების დარეგისტრირება) მოწვეული უნდა იქნას შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის ან/და მოწვეული პირი (კონკურსის გარეშე და მათი თანხმობით). აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია აღნიშნული საათების განაწილება დეპარტამენტის სხვა აკადემიურ ან/და მოწვეულ პერსონალზე.

7. შრომითი (აკადემიური) დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა სასწავლო წლის დაწყებამდე. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები პერსონალის სამუშაო (აკადემიურ) დატვირთვებში, სწავლების შესაბამის საფეხურზე, სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 3 (სამი) კვირის განმავლობაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (აკადემიური/მოწვეული პერსონალის ავადმყოფობა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/შეჩერება, სტუდენტთა რაოდენობის ცვლილება და სხვა ობიექტური გარემოება). ასეთ შემთხვევაში ბსუ-ს რექტორის ბრძანება უნდა გამოიცეს კონკრეტული საგამონაკლისო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

მუხლი 6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ფორმირება

1. აკადემიური პერსონალის ყოველწლიური (სასწავლო წლის) აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის პროექტის სამუშაო ელექტრონულ ვერსიას ამზადებს შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი, ფაკულტეტის დეკანთან კოორდინაციით.

2. აკადემიური პერსონალის ყოველწლიური (სასწავლო წლის) სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის პროექტის ელექტრონული ვერსიის მომზადებამდე დასაქმებული ვალდებულია ბსუ-ს პორტალის შესაბამის მოდულში (სამუშაო დატვირთვის ელექტრონულ სისტემაში) დააფიქსიროს **ბსუ-ში ან სხვა დაწესებულებაში შეთავსებით დასაქმების შესახებ ინფორმაცია:**

ა) ბსუ-ში დაკავებული ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა;

ბ) სხვა დაწესებულებაში დაკავებული აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა (მათ შორის მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე);

გ) სხვა დაწესებულებაში (უსდ-ში/პსდ-ში/სკოლაში/ცენტრში ან/და სხვა) განსახორციელებელი საგანმანათლებლო საქმიანობა (მათ შორის სემესტრში/სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი აკადემიური საათების ოდენობის მითითებით) ან/და სამეცნიერო აქტივობები და ვალდებულებები; *(ცვლილება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

დ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი აკადემიური საათების რაოდენობა.

3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ბსუ-ს პორტალის შესაბამის მოდულში** ხდება დასაქმებულის სამუშაო (აკადემიური) **წლიური დატვირთვის კატეგორიის ფორმირება (პირველადი ვერსია),** რომელსაც უნდა გაეცნოს დასაქმებული და ელექტრონულად განაცხადოს თანხმობა ან კომენტარის ველში დააფიქსიროს თავისი მოსაზრება სამუშაო დატვირთვის პროექტის კორექტირების შესახებ. დასაქმებულის კომენტარის შესაბამისად, საკითხი განიხილება დარგობრივი დეპარტამენტის უახლოეს სხდომაზე და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კორექტირდება ან უცვლელად რჩება დასაქმებულის სამუშაო დატვირთვის პროექტი.

4. დასაქმებული განმეორებით გაეცნობა სამუშაო დატვირთვის პროექტს, ელექტრონულად ეთანხმება ან კომენტარის ველში კვლავ აფიქსირებს თავის მოსაზრებას. დასაქმებულის იგივე ან ახალი პრეტენზიის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე საბოლოოდ ფორმირდება დასაქმებულის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა.

5. ფაკულტეტის დეკანი ელექტრონულად ადასტურებს ამ მუხლის პირველი-მე-4 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული დასაქმებულის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის კატეგორიას ან/და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს შესაბამის დასაბუთებულ კომენტარს. ფაკულტეტის დეკანის აღნიშნული აქტივობა განიხილება ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ სხვა დაწესებულებაში შეთავსებით სამუშაოს შესრულებაზე თანხმობად/უარყოფად, თანახმად წინამდებარე წესისა და შინაგანაწესის მოთხოვნებისა.

6. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ სხვა დაწესებულებაში შეთავსებით სამუშაოს შესრულებაზე ფაკულტეტის დეკანის მიერ წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაფიქსირებული უარყოფის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობით რექტორის ბრძანებით ფორმირებული კომისიის მიერ, დასაქმებულთან ერთად არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში განიხილება დასაქმებულის სამუშაო დატვირთვის ფორმირების საკითხი და საბოლოო სახით დარგობრივი დეპარტამენტის მიერ აისახება ელექტრონულ სისტემაში.

7. ელექტრონულ სისტემაში დასაქმებულის სამუშაო დატვირთვის საბოლოო სახით ატვირთვის შემდეგ, აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია შეავსოს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად სამუშაო დატვირთვის კატეგორიის განაცხადი და ამობეჭდილი და ხელმოწერილი, მატერიალური სახით წარუდგინოს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს.

8. აკადემიური თანამდებობის პირის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული აქტივობის შესრულების კოორდინირებას ახდენს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი, ხოლო მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/თანამდებობის პირები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და ბსუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნათა დაცვით ახდენენ დაუყოვნებლივ რეაგირებას, რათა დასაქმებულის მიერ დატვირთვის კატეგორიის განაცხადის შეუვსებლობამ (ან/და წარმოუდგენლობამ) არ გამოიწვიოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის დაყოვნება ან/და სასწავლო პროცესის შეფერხება.

9. ელექტრონულ სისტემაში **მოსაწვევი პერსონალის სამუშაო დატვირთვის** <u>პირველადი ვერსიის საბოლოო სახით ატვირთვის შემდეგ.</u> იგი ვალდებულია გააფორმოს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შრომის ხელშეკრულება და ხელმოწერილი, მატერიალური სახით წარუდგინოს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს (პირად საქმეში განსათავსებელ დოკუმენტაციასთან ერთად). მოწვეული პერსონალის მიერ ამ აქტივობის შესრულების კოორდინირებას ახდენს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი, ხოლო მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/თანამდებობის პირები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და ბსუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნათა დაცვით ახდენენ დაუყოვნებლივ რეაგირებას, რათა მოსაწვევი პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობამ (ან/და პირადი საქმის ფორმირებისათვის სხვა დოკუმენტაციის წარმოუდგენლობამ) არ გამოიწვიოს ფაკულტეტის სამუშაო დატვირთვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის დაყოვნება ან/და სასწავლო პროცესის შეფერხება.

10. აკადემიური პერსონალის მიერ აფილირების შეთანხმების (სამუშაო დატვირთვის კატეგორიის შესახებ შეთანხმება), ხოლო მოწვეული პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულების

გაფორმების დადასტურებას ელექტრონულ სისტემაში ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

11. სასწავლო პროცესის დეპარტამენტი ელექტრონულ სისტემაში ასახული პროექტის შესაბამისად ამზადებს ფაკულტეტის როგორც აკადემიური პერსონალის შრომითი დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტს (აფილირების, აკადემიური დატვირთვის კატეგორიის, სასწავლო წლის (სემესტრების), ამ წესით განსაზღვრული დატვირთვის კომპონენტების და სამუშაო ადგილის, ფაკულტეტის, სასწავლო კურსების მითითებით), ასევე მოწვეული პერსონალის შრომითი დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტს (სასწავლო წლის (სემესტრების), ამ წესით განსაზღვრული დატვირთვის კომპონენტების, სამუშაო ადგილის, ფაკულტეტის, სასწავლო კურსის მითითებით).

12. ფაკულტეტის ინიცირებით პერსონალის შრომით დატვირთვაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურები.

13. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი დატვირთვის ასახვას QMS-ს ბაზაში, რომლის მონაცემებს ითვალისწინებს პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცვლილების საჭიროების, ასევე ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში არსებული შრომითი დატვირთვის საერთო ბადის ფორმირებისათვის.

14. ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული შრომითი დატვირთვის კატეგორიის დამტკიცების შემდეგ, მონაცემების გადამოწმების საფუძველზე, სასწავლო პროცესის დეპარტამენტი უფლებამოსილია დასაქმებულისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ჩართულობით, ორგანიზება გაუკეთოს ელექტრონულ სისტემაში დასაქმებულის შრომითი დატვირთვის ცვლილების ფორმირებას და ამის შემდეგ შრომითი დატვირთვის ცვლილების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, ასევე საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს/მოამზადოს დასაქმებულზე უკვე გაცემული შრომის ანაზღაურების ოდენობის კორექტირების თაობაზე სამსახურებრივი ბარათი/სამართლებრივი აქტის პროექტი.

მუხლი 7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა და შრომის ანაზღაურება

1. აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ამ წესით გათვალისწინებული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის პირობებში გაიცემა:

ა) ,,ა1“ და „ა2“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირზე - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით;

ბ) **,,ბ1“, „ბ2“ და „ბ3“** კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირზე - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური თანამდებობრივი სარგოს ნახევარი;

გ) ,,გ“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირზე - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური თანამდებობრივი სარგოს ნახევარი.

2. დასაშვებია ერთი პირის მიერ ერთდროულად 8 საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში, მათ შორის: არაუმეტეს 2 სადოქტორო და არაუმეტეს 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან ერთდროულად არაუმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (დოქტორანტი ან მაგისტრანტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ ჩაითვლება ამ პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობაში).

3. ბსუ-ში საათობრივი სამუშაო დატვირთვა შეიძლება შეასრულოს ბსუ-ს პროფესიულ ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებზე/მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და შესაბამისად, **მიიღოს დამატებითი შრომითი ანაზღაურება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით:**

ა) **„ა1“ კატეგორიის** სამუშაო დატვირთვის მქონე პირმა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **180 სააუდიტორიო საათისა** (გარდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა **ან/და** დავალიანებული კრედიტების ფარგლებში შესასრულებელი საათებისა (სემესტრში არაუმეტეს 1 სასწავლო ჯგუფის/1 სასწავლო კურსისა) ან/და წინამდებარე წესით დაშვებული გამონაკლისებისა); *(ცვლილება- N07-01/55; 27.09.2024; N07-01/24, 21.08.2025)*

ბ) **„ბ1“ კატეგორიის** სამუშაო დატვირთვის მქონე პირმა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 15 სააუდიტორიო საათისა (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა ან

დავალიანებული კრედიტების ფარგლებში შესასრულებელი საათებისა (სემესტრში არაუმეტეს 1 სასწავლო ჯგუფისა/1 სასწავლო კურსისა), თუკი აღნიშნული გამოწვეულია **„ბ1“** კატეგორიის სამუშაო დატვირთვის საათების ზღვრულ ოდენობამდე შევსების საჭიროებით (თუ ეს იწვევს სასწავლო კურსის ხელოვნურ გაყოფას); *(ცვლილება - N07-01/55; 27.09.2024; N07-01/24, 21.08.2025)*

გ) „ბ3“ და „გ“ კატეგორიის სამუშაო დატვირთვის მქონე პირებმა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **120** სააუდიტორიო საათისა (გარდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა ან დავალიანებული კრედიტების ფარგლებში შესასრულებელი საათებისა (სემესტრში არაუმეტეს 1 სასწავლო ჯგუფისა/1 სასწავლო კურსისა); *(ცვლილება - N07-01/48; 28.09.2023; N07-01/55; 27.09.2024; N07-01/24, 21.08.2025)*

დ) ბსუ-ს **დამხმარე/ადმინისტრაციული თანამდებობის** პირმა, რომელსაც **არ უჭირავს** ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **120** სააუდიტორიო საათისა, ხოლო ბსუ-ს **სამეცნიერო თანამდებობის** პირმა, რომელსაც არ უჭირავს ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **180 ს**ააუდიტორიო საათისა (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა (სემესტრში არაუმეტეს 1 სასწავლო ჯგუფისა/1 სასწავლო კურსისა); *(ცვლილება - N07-01/48; 28.09.2023; N07-01/55; 27.09.2024; N07-01/24, 21.08.2025)*

ე) მოწვეული მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი/სპეციალისტის შემთხვევაში - სემესტრში არაუმეტეს **360 სააუდიტორიო საათისა.**

4. ამ მუხლით დადგენილი დამატებითი საათობრივი სამუშაო დატვირთვაზე შეზღუდვა ვრცელდება ასევე ბსუ-ს **ინგლისურენოვან** საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ **აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე,** გარდა აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი გამონაკლისისა (რაც გამოწვეული იქნება პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, როცა შეუძლებელია სხვა პერსონალის მოწვევა).

5. ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის დასაშვებია ბსუ-ში **მოკლევადიანი გადამზადების კურსების** (მათ შორის პერსონალისათვის ან უნივერსიტეტის მე-3 მისიის ფარგლებში შესასრულებელი აქტივობის ფარგლებში) საათების შესრულება წინამდებარე წესით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის გადაჭარბებით (თუკი სრულდება ძირითადად შაბათ-კვირას ან/და დასაქმებულის ძირითად სამუშაოსაგან თავისუფალ დროს/არასამუშაო საათებში). *(დამატება - N07-01/48; 28.09.2023წ.)*

6. ბსუ-ს აკადემიური პერსონალისათვის **დასაშვებია** ბსუ-ში საერთაშორისო მობილობის ფარგლებში ჩამოსული უცხოელი სტუდენტისათვის ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსის საათების წინამდებარე წესით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის გადაჭარბებით შესრულება, **მაგრამ ერთ სემესტრში არაუმეტეს 60 საკონტაქტო საათისა.** უცხოელი სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების (აკადემიური საბჭოს დადგენილებით) და შესაბამისი დასაქმებულის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიური პერსონალის საათობრივ დატვირთვაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი. *(დამატება - N07-01/55; 27.09.2024)*

7. ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სავალდებულო აკადემიური დატვირთვის ან/და დამატებითი საათობრივი სამუშაო დატვირთვის საათების **ჯამური** რაოდენობა **არ უნდა აღემატებოდეს** სემესტრში **360 საათს.** *(დამატება -N07-01/24, 21.08.2025)*

მუხლი 8. საათობრივი შრომის ანაზღაურების წესი

1. ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე შესრულებული საათობრივი სამუშაო ანაზღაურდება წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული საათობრივი ანაზღაურების ოდენობის (ტარიფების) შესაბამისად.

2. საათობრივი შრომის ანაზღაურების მოთხოვნის განაცხადს (შემდეგში - **ანაზღაურების განაცხადი)** დასაქმებული ავსებს **ელექტრონულად,** ბსუ-ს პორტალზე არსებული სპეციალური

მოდულის მეშვეობით, სამუშაოს შესრულებიდან არაუადრეს 1 თვისა და **არაუგვიანეს სასწავლო წლის დასრულებიდან 1 კვირაში.**

3. დასაქმებულის „ანაზღაურების განაცხადის“ ფორმა ინტეგრირებულია ელექტრონულ სისტემაში და მის დადასტურებაზე უფლებამოსილი პირები არიან: 1. შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი; 3. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული; 4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/თანამდებობის პირები უფლებამოსილნი არიან ,,დაახარვეზონ“ ,,ანაზღაურების განაცხადი“, რაც მისი კორექტირების საფუძველია.

4. დასაქმებულის ანაზღაურების განაცხადის ყველა დასაქმებულის მიერ ელექტრონულ სისტემაში დადასტურების შემდეგ სასწავლო პროცესის დეპარტამენტი ამზადებს შრომის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებას, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით, ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ვიზირებების საფუძველზე.

5. დასაქმებულის მიერ წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ ვადაში ანაზღაურების განაცხადის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, **სასწავლო პროცესის დეპარტამენტი** ახდენს ელექტრონულ სისტემაში დასაქმებულის ნაცვლად შესაბამისი ანაზღაურების განაცხადის შევსებას და სტრუქტურული ერთეულების დადასტურების შემდეგ **ამზადებს** ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებას, **სასწავლო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.**

მუხლი 9. სასწავლო/კლინიკური კომპონენტი და სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფებში

1. სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის შედეგების გათვალისწინებით ფორმირდება სტუდენტთა ჯგუფები შემდეგი სახის და რაოდენობით:

ა) ლექციაზე – 60 სტუდენტი;

ბ) ჯგუფში მუშაობაზე (სემინარი) და სხვადასხვა სახის პრაქტიკაზე (სასწავლო პრაქტიკა/საველე პრაქტიკა/პროფესიული პრაქტიკა) - არაუმეტეს 30 სტუდენტი, ხოლო სასკოლო (პედაგოგიური) პრაქტიკაზე - არაუმეტეს 15 სტუდენტი;

გ) საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტულ, კომპიუტერულ, ტექნიკურ მეცნიერებებში, **უცხო ენის** შემსწავლელი სასწავლო კურსების ლაბორატორიული სამუშაო – **18 სტუდენტი;**

დ) ჯანდაცვის/ფსიქოლოგიის სპეციალობების კლინიკურ დისციპლინებში მეცადინეობებზე (კურაცია) – შესაბამისი უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (სტანდარტის) შესაბამისად;

ე) **დამატებით სპეციალობაზე/მასწავლებლის მომზადების** საგანმანათლებლო პროგრამაზე, არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში - **არანაკლებ 20 სტუდენტი,** გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამების დამატებითი/არჩევითი სპეციალობებისა, რომელზეც კონკრეტული საჭიროების დასაბუთებით, გამონაკლისი დაშვებული იქნება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

ვ) არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში: საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე - **არანაკლებ 20 სტუდენტი,** ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე - **არანაკლებ 5 სტუდენტი.**

2. სტუდენტთა ჯგუფებში განსაზღვრული რაოდენობის გაზრდა ან/და შემცირება შესაძლებელია ერთჯერადად (შესაბამის სემესტრში ან სასწავლო წელს), კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის საჭიროების გამო გამონაკლისის დაშვების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მიღებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 10. აკადემიური პერსონალის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა

1. აკადემიური პერსონალის, გარდა ასისტენტისა, სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას შეადგენს:

1.1. 2024-2025 სასწავლო წლის ჩათვლით:

1.1.1. პროფესორისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი;

დ) ყოველწლიურად მონაწილეობს სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა; სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა; მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა; სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება; სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება; საექსპერტო მომსახურება; საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სხვა აქტივობა).

1.1.2. ასოცირებული პროფესორისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ყოველწლიურად მონაწილეობს სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა; სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა; მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა; სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება; სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება; საექსპერტო მომსახურება; საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სხვა აქტივობა).

1.1.3. ასისტენტ-პროფესორისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

1.2. 2025-2026 სასწავლო წლიდან:

1.2.1. პროფესორისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის (The Clarivate Analytics Impact Factor) ან Q1/Q2-ს მქონე Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;
გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი ან არის დაფინანსებული სამაგისტრო/ სადოქტორო სამეცნიერო საგრანტო პროექტის კონსულტანტი **ან** მედიცინის მიმართულებით კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი; (ცვლილება -*N07-01/24, 21.08.2025)*
დ) ყოველწლიურად მონაწილეობს სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა; სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა; მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა; სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება; სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება; საექსპერტო მომსახურება; საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სხვა აქტივობა).

1.2.2. ასოცირებული პროფესორისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;
ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;
გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი ან მედიცინის მიმართულებით კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი; (ცვლილება -*N07-01/24, 21.08.2025)*
დ) ყოველწლიურად მონაწილეობს სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა; სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა; მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა; სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება; სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება; საექსპერტო მომსახურება; საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სხვა აქტივობა).

1.2.3. ასისტენტ-პროფესორისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;
ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;
გ) ყოველწლიურად მონაწილეობს სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა; სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა; მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა; სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება; სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება; საექსპერტო მომსახურება; საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სხვა აქტივობა).(ცვლილება -*N07-01/24, 21.08.2025)*

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე, წესის გარკვეული დებულებების ძალაში შესვლის თაობაზე ამ მუხლში აღნიშნული სხვა პირობების გათვალისწინებით.

2. **ამ წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა** (ბსუ-ს <u>პროფესორისათვის ბსუ-სთან აფილირების სავალდებულო პირობა)</u> **გავრცელდეს:**

ა) ამ წესის ძალაში შესვლამდე ბსუ-სთან **მოქმედი შრომითი** ხელშეკრულების მქონე **პროფესორებზე** - ბსუ-თან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე პერიოდში (ვადიანი შრომითი კონტრაქტის მქონე პირების შემთხვევაში, ხოლო უვადო პროფესორისათვის - **არაუგვიანეს მომდევნო ატესტაციის წლამდე)** დასაშვებია სხვა დაწესებულებაში ეწეოდნენ **აკადემიურ ან/და სამეცნიერო საქმიანობას,** თუმცა შრომითი დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე წესით განსაზღვრული სამუშაო დატვირთვის დასაშვებ ზღვრულ ოდენობას; *(ცვლილება - N07-01/51; 09.09.2024; ცვლილება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ბ) ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ (2023-24 სასწავლო წლიდან) დასაქმებულ ბსუ-ს პროფესორებზე;

3. ამ წესის **მე-2 მუხლის** მე-7 პუნქტის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტების, ასევე **მე-4 მუხლის** მე-3 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ **(2023-24 სასწავლო წლიდან) დასაქმებული ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის** ნაწილში **ამოქმედდეს 2024-2025 სასწავლო წლიდან.**

4. ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ (2023-24 სასწავლო წლიდან) დასაქმებული **ბსუ-სთან აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი** 2023-2024 სასწავლო წლის პერიოდში უფლებამოსილია ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით ბსუ-ს რექტორისაგან (დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე) მიღებული თანხმობით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეთავსებით განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, შეასრულოს არაუმეტეს კვირაში 6/სემესტრში 90 საათისა (თუკი ბსუ-ში ექნება სრული სამუშაო დატვირთვა), თუკი ბსუ-ში ექნება სრული დატვირთვა ან შეასრულოს არაუმეტეს კვირაში 12/სემესტრში 180 საათისა, თუკი ბსუ-ში ექნება ნახევარი სამუშაო დატვირთვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, <u>**აფილირებული ასისტენტ - პროფესორის და ასისტენტისათვის** 2023-2024 სასწავლო წლის პერიოდში ნაცვლად წინამდებარე</u> წესის მე-4 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტში მითითებული <u>,,ა2" და ,,ბ2" სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის</u> პირობებისა, **ძალაშია შემდეგი პირობები/მოთხოვნები:**

ა) <u>„ა2" კატეგორიის სამუშაო</u> (აკადემიური) დატვირთვა შეიძლება განესაზღვროს ბსუ-სთან **აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს,** რომელიც ახორციელებს სხვა უსდ-ში საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში არაუმეტეს 6 აკადემიური საათი/სემესტრში მაქსიმუმ 90 აკადემიური საათი), თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას;

ბ) <u>„ბ2" კატეგორიის სამუშაო</u> (აკადემიური) დატვირთვა შეიძლება განესაზღვროს ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც ახორციელებს სხვა უსდ-ში საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში არაუმეტეს 12 აკადემიური საათი/სემესტრში მაქსიმუმ 180 აკადემიური საათი), თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას.

5. ამ **წესის ძალაში შესვლამდე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების** მქონე აკადემიური თანამდებობის პირი **(პროფესორი,** ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი), <u>ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე პერიოდში დასაშვებია</u> ეწეოდეს <u>სხვა დაწესებულებაში</u> **აკადემიურ საქმიანობას,** მათ შორის ეკავოს სამეცნიერო/აკადემიური თანამდებობა <u>(აფილირებული ან არაფილირებული),</u> თუმცა მისი შრომითი დატვირთვა უნდა

შეესაბამებოდეს წინამდებარე წესით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის დასაშვებ ზღვრულ ოდენობას. *(ცვლილება - N07-01/51; 09.09.2024წ.)*

6. წინამდებარე წესის **მე-6 მუხლით** გათვალისწინებული პროცედურა პერსონალის შრომითი (აკადემიური) დატვირთვის ფორმირების თაობაზე, **სრულად ამოქმედდეს 2024-2025 სასწავლო წლიდან,** ხოლო 2023-2024 სასწავლო წლისათვის პერსონალის ყოველწლიური (სასწავლო წლის) სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის ფორმირება განხორციელდეს ბსუ-ს პორტალის მოდულის ,,დატვირთვა" მეშვეობით, შემდეგი პროცედურების გავლით:

ა) შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის მიერ, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, დასაქმებულის ინდივიდუალური შრომითი დატვირთვის/დატვირთვაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის ფორმირება;

ბ) დასაქმებულის მიერ ინდივიდუალური შრომითი დატვირთვის პროექტის წინასწარ, ელექტრონულად დადასტურება;

გ) ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა ფაკულტეტის პერსონალის შრომითი დატვირთვის თაობაზე პროექტის შესახებ (დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით);

დ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ პერსონალის შრომითი (აკადემიური) დატვირთვის შესახებ/დატვირთვაში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების მომზადება/(საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) შეთანხმებით და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული პერსონალის ვიზირებებით).

7. წინამდებარე წესთან შესაბამისობაში მოყვანისათვის გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება 2022-23 სასწავლო წლის ჩათვლით პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლიდან აფილირებისა და შრომითი დატვირთვის კატეგორიების განსაზღვრისათვის საორგანიზაციო ღონისძიებების თაობაზე.

8. ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე **2024-2025 სასწავლო წელს** შესასრულებელი **აკადემიური/საათობრივი სამუშაო დატვირთვა** წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტში და მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული საველე/სასწავლო/საწარმოო/პროფესიული/სასკოლო (პედაგოგიური) **პრაქტიკის საათების ნაწილში განისაზღვროს** საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად, საიდანაც <u>ანაზღაურებადი/საუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი საათები შეიძლება იყოს ერთ კრედიტზე მაქსიმუმ 12 საათი</u> **(მაგალითი N1:** ბსუ-ს <u>,,ბიოლოგიის"</u> საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ,,სასწავლო-საველე პრაქტიკა მიკრობიოლოგიაში" სილაბუსით გათვალისწინებულია საკონტაქტო 120 საათი (სულ 5 კრედიტი), 2024-25 სასწავლო წლის დატვირთვის საათებში აისახება ასანაზღაურებელი საკონტაქტო 60 საათი; **მაგალითი N2:** ბსუ-ს ,,ისტორიის" საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ,,საველე არქეოლოგიური პრაქტიკის" სილაბუსით გათვალისწინებულია საკონტაქტო 60 საათი (სულ 5 კრედიტი), 2024-25 სასწავლო წლის დატვირთვის საათებში აისახება ასანაზღაურებელი საკონტაქტო 60 საათი; **მაგალითი N3:** ბსუ-ს ,,ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ,,დიალექტოლოგიური პრაქტიკის" სილაბუსით გათვალისწინებულია საკონტაქტო 45 საათი (სულ 5 კრედიტი), 2024-25 სასწავლო წლის დატვირთვის საათებში აისახება ასანაზღაურებელი საკონტაქტო 45 საათი) **შემდეგი** პერსონალისათვის: *(დამატება - N07-01/55; 27.09.2024)*

8.1. აფილირებული **A1 კატეგორიის** აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალისათვის - წინამდებარე წესით დადგენილი წლიური **აკადემიური** (სამუშაო) **დატვირთვის ზღვრულ ოდენობამდე შევსებისათვის - არაუმეტეს 60 საათის** ოდენობით;

8.2. ბსუ-ში საათობრივი სამუშაო დატვირთვა შეიძლება შეასრულოს ბსუ-ს <u>პროფესიულ</u> ან/და <u>უმაღლეს</u> საგანმანათლებლო პროგრამებზე/<u>პროფესიული მომზადება-გადამზადების</u> პროგრამებზე/<u>მოკლევადიან</u> საგანმანათლებლო პროგრამებზე და შესაბამისად, მიიღოს დამატებითი შრომითი ანაზღაურება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით:

ა) „ა1" კატეგორიის სამუშაო დატვირთვის მქონე პირმა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს <u>180 საუდიტორიო საათისა</u> (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული **პრაქტიკის არაუმეტეს 60 საათისა,** საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა ან დავალიანებული კრედიტების ფარგლებში შესასრულებელი საათებისა);

ბ) „ბ3“ და „გ“ კატეგორიის სამუშაო დატვირთვის მქონე პირებმა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 120 საუდიტორიო საათისა (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის არაუმეტეს 60 საათისა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა ან დავალიანებული კრედიტების ფარგლებში შესასრულებელი საათებისა).

9. **2025-26 სასწავლო წელს** ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთა** მიერ წარმოდგენილი **შეთავსებით სამუშაოზე**/ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელებაზე წერილობითი თანხმობის მიღების თაობაზე განაცხადების განხილვის შედეგად ბსუ-ს რექტორის მიერ **გაიცეს წერილობითი თანხმობა/პირობითი თანხმობა** (თანდართული საინფორმაციო ბარათით) **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:** *(დამატება - N07-01/37, 05.12.2025 - ვრცელდება 2025 წლის 01 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე; **ცვლილება** - N07-01/20, **24.03.2026** - ვრცელდება **2025-26 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან (2026 წლის 09 მარტიდან)** წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.*

ა) თანხმობა, არაუმეტეს 1 წლის ვადით - იმ შემთხვევაში, თუკი აკადემიური თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შინაარსი (ან/და წარმოდგენილი ცნობა/ცნობები დასაქმების ადგილიდან/ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ) არ ეწინააღმდეგება (შეესაბამება) ამ დასაქმებულის ბსუ-სთან აფილირების შეთანხმებას, მიმდინარე სასწავლო წლისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური დატვირთვის კატეგორიას ან/და საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით და ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის რეგულაციას;

ბ) პირობითი თანხმობა არაუმეტეს 2026 წლის 01 სექტემბრამდე ვადით, ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების ბსუ-ს აფილირების წესთან შესაბამისობაში მოყვანის (არაუგვიანეს 2026 წლის 01 სექტემბრისა), მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური (შრომითი) დატვირთვის შეუფერხებლად შესრულების, ბსუ-ში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით ბსუ-ს სხვა რეგულაციების და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის პირობით – იმ შემთხვევაში, თუკი ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შინაარსი (ან/და წარმოდგენილი ცნობა/ცნობები დასაქმების ადგილიდან/ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ) სრულად არ შეესაბამება ამ დასაქმებულის ბსუ-სთან აფილირების შეთანხმებას, მიმდინარე სასწავლო წლისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური დატვირთვის კატეგორიას ან/და საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით და ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის რეგულაციას.“.